



ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრირების ღონისძიებები

დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გამოყენების, აგრეთვე უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრირების ღონისძიებები

2025 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №9, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებით, დამატებით განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც საგადასახადო ორგანო განხორციელებს შესაბამის ადმინისტრირების ღონისძიებებს დამატებული ღირებულების გადასახადისთვის განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების საპრევენციოდ.

ცვლილება შეეხო №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56³-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც განსაზღვრავს დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გამოყენების, აგრეთვე უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრირების ღონისძიებებს. ცვლილებამდე არსებული რედაქციით საგადასახადო ორგანოს გააჩნდა უფლებამოსილება დღგ-ის გადახდისგან რეგისტრირებული პირისთვის შეეჩერებინა ამავე ინსტრუქციის 51 და 56¹ მუხლებით განსაზღვრული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (გამოწერა/დადასტურება/ჩათვლა) ან/და აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემის უფლება. განხორციელებული ცვლილებით საგადასახადო ორგანოს ასევე შეეძლება საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლების შეჩერება დღგ-ის ჩათვლის მიღების მიზნით.

შეგახსენებთ იმ გარემოებებს, რომელთაგან ერთ-ერთის დადგომის შემთხვევაშიც საგადასახადო ორგანო შეძლებს ზემოხსენებული ადმინისტრირების ღონისძიებების განხორციელებას:



- დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გამოყენების, აგრეთვე, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში
- შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში)
- შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 28 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიბხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრირების ღონისძიებებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge
▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის

ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.